განმცხადებელი : მზია სალვარიძე

თარიღი : 15-06-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ჯემალ მეგრელიძე , ტელეკომპანია tv12 -ის დირექტორი, წამყვანი. T / 0706706012

სადავო მასალა : გადაცემა "ჟურნალისტის დღიური", ტელეკომპანია ტვ12, თარიღი: 14.06.2022 დრო: 17.42. https://www.facebook.com/TV12TV/videos/2253640151477868

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : ვფიქრობთ, რომ გადაცემაში დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი, კერძოდ: 'ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.", გადაცემაში, რომლის წამყვანიც ბრძანდებოდა ჯემალ მეგრელიძე, მოწვეულები იყვნენ ე.წ. პოეტი-აკადემიკოსი ნანა მომცელიძე და პოეტი, მუსიკოსი კახა ბაციკაძე. გადაცემის თემა იყო ნანა მომცელიძისთვის ანა კალანდაძის პრემიის მინიჭების გამო ატეხილი სკანდალის გაშუქება. ტელეკომპანიის ფეისგვერდზე გადაცემას წანამძრვრად ედო შემდეგი სიტყვები:"ტყეში მოხეტიალე ტახების მეხოტბე „პოეტესას“ განწირული ყროყინი სხვისი წარმატების გამო ანუ რატომ არ უნდა გეტკინოს ვირის წიხლი?" ,გადაცემის წამყვანი და სტუმარი ყვებოდნენ პრემიის მინიჭების გამო ატეხილ აჟიოტაჟზე, რომელიც თითქოს დაკავშირებული იყო მზია სალვარიძესთან.საქმე კი მდგომარეობდა იმაში, რომ ერთ-ერთ ლიტერატურულ გვერდზე მართლაც განიხილეს ეს თემა, სადაც ბევრმა მწერალმა და მკითხველმა გამოხატა თავისი აზრი, ზოგმა შეშფოთება, ზოგმაც მხარდაჭერა. მცირერიცხოვან მხარდამჭერებში იყო მზია სალვარიძეც, რომელმაც დაწერა, რომ ნუ მიაყენებდნენ ნანა მომცელიძეს შეურაცხყოფას მისი ნაწარმოებების გაცნობის გარეშე...მაგრამ, ამის საპირისპიროდ გადაცემაში,მზია სალვარიძე წარმოაჩინეს, როგორც დაპირისპირებული მხარე, ამის შესახებ არ აცნობეს მას,არ მომხდარა ჟურნალისტის მიერ საკითხის ორმხრივად შესწავლა, ფაქტების დადგენა და ჟურნალისტმა საზოგადოების წინაშე შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი წინადადებებითა და შეფასებებით არაერთხელ მოიხსენია მწერალი მზია სალვარიძე. კიდევ განვმეორდებით, რომ არც გადაცემის და არც ამ საკითხის გაშუქებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე მზია სალვარიძეს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონია. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, ცალმხრივი, დაუდასტურებელი და დაუზუსტებელი ვარაუდებისა და ბრალდებების საჯაროდ გამოტანა სამი ადამიანის მიერ, რომელთანაც მწერალ მზია სალვარიძეს არც პიროვნული, არც პროფესიული და არც შემოქმედებითი ურთიერთობა არ ჰქონია.ჟურნალისტმა არ გამოიჩინა პატივისცემა საზოგადოების წინაშე, ბოლომდე არ გადაამოწმა ფაქტები,დაეყრდნო მხოლოდ ერთი მხარის ვარაუდებს და ეჭვებს,რაც ეხებოდა ერთი ალეგორიული ლექსის(შაირის) შინაარსს, რომელიც გადაცემის სტუმარმაც და მასპინძელმაც ჩათვალეს, რომ ეძღვნებოდა ნანა მომცელიძეს. სინამდვილეში ლექსი არის ხუთი თვის წინ დაწერილი და გამოქვეყნებული, ბევრად ადრე, ვიდრე ნანა მომცელიძეს პრემიას გადასცემდნენ და საერთოდ ვინმე რაიმე აზრს გამოთქვამდა მისი პრემიის შესახებ,ანუ ამ შემთხვევაშიც გვაქვს დროში აცდენა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჟურნალისტმა, კიდევ ერთხელ გავიმეორეთ,საჯაროდ გაავრცელა გადაუმოწმებელი, დაუდასტურებელი, ღირსების შემლახავი ინფორმაცია.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები